

# საპროტესტო აქციების მონიტორინგი



შემაჯამებელი ანგარიში

2021



# საპროტესტო აქციების მონიტორინგი

*(შემატამებელი ანგარიში)*



**ავტორი:** გიორგი ტყეშელაშვილი

**რედაქტირება:** ადევო ცქიტიშვილი, გიორგი კაკუბავა

**მონიტორინგი:** ანი ფორნხიძე, თამარ ქურთაული, ნინო ჩიხლაძე

**ფოტო ყდაზე :** ადევო ცქიტიშვილი

### **ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ**

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

### **ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:**

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); [www.fidh.org](http://www.fidh.org)
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); [www.omct.org](http://www.omct.org)
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი [www.humanrightshouse.org](http://www.humanrightshouse.org)
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); [www.coalitionfortheicc.org](http://www.coalitionfortheicc.org)

### **მისამართი:**

0160 თბილისი, ა. გაბოვიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: [hrc@hrc.ge](mailto:hrc@hrc.ge)

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: <http://www.humanrights.ge>

ვებ-საიტო: [hrc.ge](http://hrc.ge)



*ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშიში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.*

## სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა.....	4
მეთოდოლოგია .....	7
2021 წელს გამართული საპროტესტო აქციების მონიტორინგი .....	8
1. დემონსტრანტების ქცევა და სამართადამცველთა ქმედებები აქციებზე.....	8
2. სამართადამცავთა აუცილებლობა და პროპორციული რაოდენობა .....	18
3. შეკრების მონაწილეთა დაკავების/დაჭარბების პრაქტიკა.....	19
4. 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებული სამართალწარმოება .....	21
დასკვნა .....	22
რეკომენდაციები.....	24

## ზოგადი მიმოხილვა

წინა წლების მსგავსად<sup>1</sup>, საქართველოში არსებული პოლიტიკური რეალობა ადასტურებს, რომ შეკრების თავისუფლების სრულფასოვან რეალიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული, სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებისა და საზოგადოებაში არსებითი ხასიათის ცვლილებების ხელშეწყობისთვის.

საქართველოს კონსტიტუცია<sup>2</sup> და საერთაშორისო დოკუმენტები<sup>3</sup> აღიარებენ, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური და ფუნქციური ელემენტია. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით, შეკრების/მანიფესტაციის შესაძლებლობა კი დემოკრატიული მმართველობის განუყოფელი ნაწილია<sup>4</sup>.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია 2021 წლის 1 თებერვლიდან 30 ნოემბრამდე საქართველოში გამართული საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას იდენტიფიცირებული დარღვევების სამართლებრივი ანალიზი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

დოკუმენტში განხილულია თბილისსა და რეგიონებში სამოქალაქო მოძრაობების, პოლიტიკური პარტიების, ე.წ. უდრამემარჯვენე ჯგუფების, მედიასაშუალებების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებული სოციალური, პოლიტიკური შინაარსისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა სახის საპროტესტო აქციების დაკვირვების შედეგები.

საქართველოში შეკრებების მრავალწიანი გამოცდილების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ 2021 წელს ქვეყანაში ჩატარებულ საპროტესტო აქციათა უმრავლესობის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი შეკრების უფლების უხემ

---

<sup>1</sup> იხ. საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგები - შემავაშეხილი ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020. <http://hrc.ge/files/reports/36aqciebis%20monitoring%20-geo.pdf>

<sup>2</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. <https://bit.ly/37Pt0TY>; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება, II, პარ.1.

<sup>3</sup> იხ. Universal Declaration of Human Rights, მუხლ. 20. <https://bit.ly/3oAiJIC>; International Covenant on Civil and Political Rights, მუხლ. 21. <https://bit.ly/3gyFhAo>; European Convention on Human Rights, მუხლ. 11. <https://bit.ly/3gp9925>; American Convention on Human Rights, მუხლ. 15. <https://bit.ly/3ovCVF0>.

<sup>4</sup> იხ. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიჰარაიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, (პარაგრაფი 25). <https://matsne.gov.ka/document/view/1309814?publication=0>

დარღვევას და ამის პარალელურად - ძალადობრივი ჯგუფების მიერ ორგანიზებული აქციების მიმართ მეტად შემწყნარებლურ პოლიტიკას. მაგალითად, 2021 წლის 5-6 ივლისს, თბილისში ძალადობრივი ჯგუფების მიერ გამართული მასშტაბური კონტრაქციისას, სახელმწიფომ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვადებულება არ შეასრულა, რაც მძიმე შედეგებით დასრულდა<sup>5</sup>.

შეკრება/მანიფესტაციის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით მიმდინარე მონიტორინგის შედეგად, პრობლემურ საკითხებად გამოიკვეთა სამართალდამცავთა მხრიდან შეკრების მსვლელობისას დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობის შეზღუდვა და შეკრების არასათანადო და არაეფექტიანი მართვა, აგრეთვე - სპონტანური აქციების ფარგლებში ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის შეუძლებლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი<sup>6</sup> - სამართალდამცავებმა არ მისცეს მომთინგეებს დროებითი კონსტრუქციების დადგმის შესაძლებლობა, როგორც არის: კარგები, დასაკეცი საწოლები ან ბანერები და ძალაუფლების გადაუმეტებელი დაკავეს ის პირები, რომლებიც ცდილობდნენ ამის გაკეთებას. აღსანიშნია, რომ მსგავს ფაქტებს რეგულარული ხასიათი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ დროებითი კონსტრუქციების დადგმის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით<sup>7</sup>, საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებით<sup>8</sup> და ეუთო/ოდირის სახელმძღვანელო პრინციპებით<sup>9</sup>. აგრეთვე, გამოვლინდა არაპროპორციული შეზღუდვები გადაადგილების თავისუფლების მიმართ; პროტესტის ორგანიზატორთა და დემონსტრანტების ძალაუფლების გადამეტებით დაკავებისა და დაჭარბების მასშტაბური შემთხვევები.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ აქტიურად განაგრძობენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებას აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ, ძირითადად - მათი დისკრედიტაციის, დაშინებისა და საპროტესტო აქციებისათვის ზიანის

---

<sup>5</sup> იხ. საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. <http://hrc.ge/files/reports/161aqciebi-geo.pdf>; ასევე, იხ: 2021 წლის 5-6 ივლისის საპროტესტო აქციების მონიტორინგის ანგარიში - პირველადი სამართლებრივი შეფასება, 2021.: <http://www.hrc.ge/277/geo/>

<sup>6</sup> იხ. „აკრძალული უფლება - დროებითი კონსტრუქციებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკანონმდებლო სტანდარტები და პრაქტიკაში რეალიზაციის პრობლემები“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 წ.: <https://bit.ly/3jtKddi>

<sup>7</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე: ECHR, *Tabernacle v Secretary of State for Defence*, 5 February 2009. <https://www.casemine.com/judgement/uk/5a8ff71160d03e7f57ea70a9>

<sup>8</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე №3/6463-16.

<sup>9</sup> იხ. ეუთო/ოდირის სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების შესახებ, §18, 2010. <https://bit.ly/3jVlptp>

მიყენების მიზნით.

აღამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესები აჩვენებს, რომ მშვიდობიანი შეკრების მონაწილეებს, ძირითადად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხუდიგნობა), 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობა) და 150-ე (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) მუხლების საფუძველზე აკავებენ. ამ მუხლების გამოყენებით შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვის შემთხვევები წლების განმავლობაში დოკუმენტირებულია, მათ შორის - აღამიანის უფლებათა ცენტრის მიერ<sup>10</sup>.

გემოალინშიურ პრობლემას მეტად ამწვავებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველოში მოქმედებს 1984 წელს მიღებული, საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს და თითოეული ხელისუფლების მიერ გამოიყენება მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის უფლების არამართდომიერად შესაზღუდად. კოდექსი აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრადღებულ პირს გააჩნია - არ ითვალისწინებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას, რაც საპროცესო უფლებებს და სხვა. ამასთან, ცადკველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის აწესებს ისეთ მძიმე სახდელს, როგორცაა ადმინისტრაციული პატიმრობა<sup>11</sup>.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებული საპროცესო მოწესრიგებით, სისხლისსამართლებრივი ბუნების სამართალდარღვევებზე, რომლებიც, ასევე, მოცემულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, მართლსაჯულება არ ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვით. აქედან გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციას და აღამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ეწინააღმდეგება სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გულისხმობს თავისი ბუნებით სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევების განხილვასა და შესაბამისი გადანყვეტილების

---

<sup>10</sup> იხ. საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, აღამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. <http://hrc.ge/files/reports/161aqciebi-geo.pdf>; საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგები - შემაჯამებელი ანგარიში, აღამიანის უფლებათა ცენტრი, 2020: <http://hrc.ge/files/reports/36aqciebis%20monitoring%20-geo.pdf>

<sup>11</sup> იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში, აღამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. <http://hrc.ge/files/179adm-cases-geo-pdf>

მიღებას, სათანადო საპროცესო გარანტიების<sup>12</sup> გარეშე. ასევე, კრიტიკული უკანასკნელი ცვლილებები, რაც შესაძლებელს ხდის, სამართალდამცავთა მხრიდან, პირის ადმინისტრაციული დაკავების ვადის ბლანკეტურად - 48 საათამდე გაზრდას. 48 საათით პირის დაკავება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ცალსახად უსვამს ხაზს 24-საათიანი ვადის საკმარისობას, შესაძლო სამართალდამრღვევი პირის სასამართლოსთვის წარდგენის მიზნისთვის, უნდა ჩაითვალოს ინტენსიურ და არაპროპორციულ ჩარევად<sup>13</sup>.

## მეთოდოლოგია

საპროტესტო აქციების მონიტორინგს ახორციელებდა ადამიანის უფლებათა ცენტრის 3 მონიტორი, რომლებმაც შესაბამისი ტრენინგები გაიარეს სპეციალურად მოწვეულ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ექსპერტებთან<sup>14</sup>. მონიტორები ყოველი აქციისა და სასამართლო მოსმენის შემდეგ აფიქსირებდნენ მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც აჯამებდა და ანალიტიკური დოკუმენტებისთვის იყენებდა ანალიტიკოსი-იურისტი.

მონიტორინგის ფარგლებში, ანალიტიკური დოკუმენტის მომზადებისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენდა, აქციებისა და სასამართლო პროცესების დროს, მონიტორთა მიერ შემუშავებული პირადი ანგარიშები და საპროტესტო აქციების მსვლელობისას პროექტის სამოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, სამოქალაქო აქტივისტებისა და მედიასაშუალებების მიერ გადაღებული ფოტო და ვიდეომასალა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აქციებს აკვირდებოდნენ როგორც უშუალოდ საპროტესტო აქციების მსვლელობის ადგილზე, ისე დისტანციურად სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმების Live Streaming-ის საშუალებით. დასაკვირვებელ აქციათა დროსა და ადგილის შესახებ ინფორმაციას მონიტორები სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - სოციალური ქსელიდან - Facebook-იდან იღებდნენ, სადაც ორგანიზატორები დაგეგმიდ აქციათა შესახებ ინფორმაციას აგრცელებდნენ.

2021 წლის 25 აგვისტოს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საპროტესტო

---

<sup>12</sup> როგორცაა: მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილება, უტყუარი/ნეიტრალური მტკიცებულებები, უდანაშაულობის პრეზუმაცია, მხარეთა შეგებრებითობა და თანასწორობის პრინციპი.

<sup>13</sup> იხ. „ადმინისტრაციული შეცდომა ქართული სამართალშემოქმედების ჩრდილქვეშ“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. გვ. 13.

<sup>14</sup> <http://www.hrc.org/files/108/administraciui%20samartaldargveva.geo..pdf>

<sup>14</sup> იხ. ინფორმაცია OSCE/ODIHR-ის ტრენინგის შესახებ.: <https://bit.ly/2Qmse8R>



აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა. დოკუმენტში განხილულია 2021 წლის თებერვლიდან, 10 აგვისტომდე თბილისსა და რეგიონებში ორგანიზებული სოციალური, პოლიტიკური შინაარსისა და სამოგადეობისთვის მნიშვნელოვანი სხვა სახის საპროტესტო აქციების დაკვირვების შედეგები<sup>15</sup>.

წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულია, რამდენად შეესაბამება შეკრებისა და გამოსატყვის თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებული პროცედურები აღიარებულ პრაქტიკას და საერთაშორისო ვადებულდებებს.

## 2021 წელს გამართული საპროტესტო აქციების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში გამართულ 18 ფართომასშტაბიან აქციაზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ აქციათა უმრავლესობა, დემონსტრანტთა მხრიდან მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. გამონაკლის შემთხვევებში, დემონსტრანტთა ქმედებების მასშტაბი არ აღწევდა იმ ზღვარს, რაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალურ საფრთხეს შექმნიდა. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ რიგ შემთხვევებში, დემონსტრანტთა მხრიდან წინააღმდეგობის განწვევა პროვოცირებული იყო საპოლიციო ძალების რეპრესიული პოლიტიკის შედეგად. ამ შემთხვევაში, ზოგადი შეფასებით, დემონსტრანტების ქცევა იმგვარი ბუნებისა და ხარისხის იყო, რომ დემონსტრაციაში მათი მონაწილეობა დეგრატიული იყო როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების დაცვის კუთხით. ზოგიერთ აქციაზე გამოვლინდა მასშტაბური ხასიათის ძალადობრივი ქმედებები, რაზეც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს სათანადო რეაგირება არ მოუხდენიათ, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა.

### 1. დემონსტრანტების ქცევა და სამართალდამცველთა ქმედებები აქციებზე

*2021 წლის 7 თებერვალს*, წყაღებოს მუნიციპალიტეტის *სოფელ ნამახვანში*, „ნამახვანის დიდი ჰესების კასკადის“ სამშენებლო სამუშაოების აღკვეთის მოთხოვნით მშვიდობიანი საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან შეიკრიბნენ. აქციაზე შეკრებილთა მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა სოფელ ნამახვანში ჰესის მშენებლობის შეწყვეტა და კომპანია, „ენკას“ მიერ მდინარე რიონის ხეობის დატოვება. აქციის მონაწილეთა რაოდენობა აღწევდა დაახლოებით 500 ადამიანს. აქციის ორგანიზატორებმა, მდინარე რიონის მიმდებარედ,

<sup>15</sup> იხ. საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. <http://hrc.ge/files/reports/161aqciebi-geo.pdf>

მონაწილეთა დახმარებით გაშადეს კარავი. მართალია, თავდაპირველად პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობას, მაგრამ საბოლოოდ ეს წინააღმდეგობა აღმოიფხვრა. მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისინი განაგრძობდნენ პროტესტს და კარავში გაატარებდნენ მორიგ დღეს (106-ე დღე-ღამე). აქციის მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. ზოგადად, ნამახვანჰესის აქციებზე ხშირად ისმოდა ქსენოფობიური/ჰომოფობიური განცხადებები, რასაც თავად ორგანიზატორები ემიჯნებოდნენ.

**2021 წლის 19-21 თებერვალს** საქართველოს პარლამენტის შენობის წინ აქციები გაიმართა. ამ აქციების მიმდინარეობისას პოლიციის თანამშრომლებმა ედმონსტრანტებს კარვის განთავსების შესაძლებლობა არ მისცეს და დააკავეს 20-მდე სამოქალაქო აქტივისტი, რომლებიც კარვების გაშდას ცდილობდნენ<sup>16</sup>. გასათვალისწინებელია, რომ აქციები მიმდინარეობდა ფართო ტროტუარზე, ხელს არ უშდიდა ტრანსპორტის მოძრაობას, არ კეტავდა შენობის შესასვლელს და არც დაწესებულების საქმიანობას აფერხებდა. ამდენად, სრულად იყო დატყვევებული შეკრების თავისუფლებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის წინ მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელების ფარგლებში კარვების, ტრანსპარანტების, პლაკატების და შეკრებისათვის მნიშვნელოვანი სხვა დროებითი კონსტრუქციების განთავსების უფლების შეზღუდვა და სამართალდამცველთა ქმედებები უკანონო, და არაკონსტიტუციური იყო.

ქვეითთა სამოძრაო ტერიტორიაზე აქციების და მანიფესტაციების გამართვისას კარვის, გასაშლელი საწოლის, ბანერების და სხვა დროებითი კონსტრუქციების გამოყენების ამკრძალავი ნორმა საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება. საქართველოს კონსტიტუცია ამ უფლების შეზღუდვას დასაშვებად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, თუკი მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. ამასთან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დროებითი კონსტრუქციების, მათ შორის - კარვის დადგმის აკრძალვას იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს არ უშდის გზის სავად ნაწილს<sup>17</sup>.

**2021 წლის 14 მარტს**, ქუთაისში ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგო აქცია გაიმართა, რომელშიც, დაახლოებით, 22000-მდე

---

<sup>16</sup> სახალხო დამცველის განცხადება: <https://bit.ly/3qCTX5F>; ადამიანის უფლებათა ცენტრი, პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 21.02.2021.

<sup>17</sup> იხ. მოქალაქეთა პოლიტიკური გავრთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გავრთიანება საქართველოს კონსერვატიული პარტია, საქართველოს მოქალაქეები \_ მვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2011 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3AXOfQr>

აღამიანი მონაწილეობდა. აქცია, მიუხედავად დიდი მასშტაბებისა, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. აქციის მონაწილეებს რაიმე ბარიერების საშუალებით არ გადაუკვეტავთ გზა. აქციაში მონაწილეთა მრავალრიცხოვნობიდან გამომდინარე, ქუთაისის ცენტრალური მოედნის ყველა მხრიდან შესასვლელში მოძრაობა შეჩერდა. აქციაზე არ მომხდარა ძალადობრივი ინციდენტები. არც სამართალდამცველებსა და აქციაში მონაწილეთა შორის არ გამოვლენილა დაპირისპირების შემთხვევები<sup>18</sup>.

**2021 წლის 12 აპრილს**, წყაღებულს მუნიციპალიტეტის **სოფელ გუმათში** „ნამახვანის დიდი ჰესების კასკადის“ სამშენებლო სამუშაოების აღკვეთისა და რიონის ხეობაში დაბრუნების უფლების მოთხოვნით, კიდევ ერთხელ შეიკრიბა მოსახლეობა, მშვიდობიანი საპროტესტო აქციის გამართვის მიზნით. აქ, წინა დღეს - 2021 წლის 11 აპრილს, მას შემდეგ, რაც მდინარე რიონში პიროვნებამ შეცურა და გაუჩინარდა, პოლიციამ „რიონის ხეობის მცველების“ კარგები დაშალა, რის მიზეზდაც ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებს უთითებდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, კარგების დაშლის აუცილებლობა გამომდინარეობდა მდინარე რიონის აღდგენით და მიმდებარე ტერიტორიის სავარაუდო დატბორვით, ხოლო ნაწილი - მიმდინარე სამძებრო-სამაშველო სამუშაოებს ასახებდა. საბოლოოდ კი, აქციის ორგანიზატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება აქციის სოფელ გუმათში ჩატარების თაობაზე.

აქციის მონაწილეებს სურდათ სოფელ ნამახვანში შესვლა, რის უფლებასაც სამართალდამცველები არ აძლევდნენ. რამდენჯერმე სამართალდამცველები და აქციის მონაწილეები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ<sup>19</sup>. ერთ-ერთ ასეთ დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა კომპანია „ენკას“ ოფისთან. აქტივისტები ითხოვდნენ რიონის ხეობაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას და საკუთარ მიწაზე დაბრუნებას. პრეტესტი მოქადაქვებმა მშვიდობიანი ჟესტით - ხელებანუერი ფორმით პოლიციის კორდონთან მისვლით გამოხატეს. აქციის პარადელურად, რიონის ხეობაში სამართალდამცველმა ორგანოებმა მოახდინეს წყლის ჭავლის მანქანებისა და სპეცდანიშნულების რამზების მობილიზება.

საპროტესტო აქციაზე, სამართალდამცავებსა და შეკრებილ აქტივისტებს შორის, რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი ფიზიკურ დაპირისპირებას. კომპანია „ენკას“ ოფისთან შექმნილი კონფლიქტური სიტუაცია ადგილზევე განიმუხტა<sup>20</sup>. აქციის მონაწილეებმა გადაკეტეს საავტომობილო გზა და ითხოვდნენ სოფელ ნამახვანში შეშვებას<sup>21</sup>. აქტივისტთა ნაწილმა ავტომსვლელობა გამართა

<sup>18</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, აქცია ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ, ქ. ქუთაისი. ანგარიში მომზადებულია: 14.03.2021.

<sup>19</sup> დაპირისპირების კადრები სრულად: <https://bit.ly/3qCxFlb>

<sup>20</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3wR82zL>

<sup>21</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3uS46gB>

ქუთაისის მიმართულებით. ნაწილი კი გუმათში დარჩა. აქციაზე მობილიზებული იყო სამართადაცველთა დიდი რაოდენობა. ხაღისა და ავტომობილთა სიმრავლიდან გამომდინარე, განთულებული იყო გადაადგილება და სოფელ ნამოხვანში შემავალი ორივე გზა ჩაკეტილი იყო პოლიციელების მიერ<sup>22</sup>.

OSCE/ODIHR-ის სახელმძღვანელო მითითებებით, კარვისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების აგება მოიაზრება მშვიდობიანი შეკრების უფლებით დაცულ სფეროში<sup>23</sup>. აქტი, რომელიც კრძალავდა „კონტროლირებად ტერიტორიებზე“ კარვისა და სხვა კონსტრუქციების აგებას, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული მშვიდობიანი შეკრების უფლების საწინააღმდეგოდ იქნა მიჩნეული გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, იმ მიზეზით, რომ კარვის აგებამ, როგორც პროტესტის ფორმამ და საშუალებამ შეიძინა საპროტესტო გზავნილისგან განუყოფელი სიმბოლური მნიშვნელობა<sup>24</sup>. ეროვნულ დონეზე კი, 2016 წლის 31 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე დადგინდა, რომ წინასწარი თანხმობის გარეშე კარვის დადგმის განთავსება თავსდება მშვიდობიანი შეკრების უფლებაში. სასამართლომ განმარტა, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება მოიცავს შეკრების გამართვის ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლებას, რაც მოიცავს დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობას“<sup>25</sup>.

საქართველოს ხელისუფლებამ შემოიღო არაპროპორციული შეზღუდვები გადაადგილების თავისუფლების მიმართ, რამაც ასევე გამოიწვია მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევა. მდინარე რიონის ხეობაში 2021 წლის 3 აპრილიდან 2021 წლის 18 ივნისამდე<sup>26</sup> (ვიდრე „რიონის ხეობის მცველებსა“ და მთავრობას შორის ევროკავშირის ენერჯეტიკული გაერთიანების სამდივნოს წარმომადგენლების მედიაციის პროცესი დაიწყებოდა) განსაკუთრებული საპოლიციო მობილიზება იყო და ადგილობრივებს შებლუული ჰქონდათ სოფელ ნამოხვანისკენ თავისუფალი გადაადგილების უფლება, აგრეთვე - სოფელში შეკრებისა და გამოხატვის უფლებით სარგებლობა. ამ ქმედების

<sup>22</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი, სოფელ გუმათში გამართული საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 12.04.2021.

<sup>23</sup> ob. Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, second edition, §18, Warsaw/Strasbourg 2010. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bpJ1C4>

<sup>24</sup> ob. *Tabernacle v Secretary of State for Defence* [2009] EWCA Civ 23 (05 February 2009). <https://bit.ly/3bjcv4q>. ასევე, ob. European Commission for Democracy through law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 148. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3hfX9R2>

<sup>25</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №3/6463–16.

<sup>26</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3weCLWg>

გასამართლებლად შსს-ს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება ვერ აკმაყოფილებდა უფლებაში ჩარევისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებების სტანდარტებით დადგენილ საბაზისო მოთხოვნებს<sup>27</sup>. ასევე, მძიმე დარღვევებით წარმართა პროტესტის ორგანიზატორთა ძალაუფლების გადამეტებით დაკავება და დაჯარიმება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სარგებლობდნენ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით.

გადაადგილების თავისუფლების ასეთმა შეზღუდვებმა ხელი შეუშალა მომიტინგეებს პროტესტის ღრუბლებზე - მათი მოძრაობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე მისასვლელად.

**2021 წლის 23 მაისს**, რიონის ხეობის მცველებმა“ კიდევ ერთი აქცია, ამაჯრად, თბილისში გამართეს. მათ რამდენიმე დღით ადრე დააანონსეს მასშტაბური საპროტესტო აქცია. 23 მაისს თბილისში ორგანიზებული აქციის პირველ დღეს აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლებას აძღვედნენ ვადას 24 მაისის 12 საათამდე მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დაახლოებით, 12:10 საათზე აქციაზე ატყდა ჩოჩქოლი. ტელევიზიების ჟურნალისტები და ოპერატორები შემოეხვივნენ ორ ახალგაზრდას, რომლებიც შეკრებას გამოეყვნენ და ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ რუსთაველის გამზირისკენ. ამ დროს, აქციის ორგანიზატორმა, ვარდამ გოლეთიანმა ხმის გამაძლიერებლის გამოყენებით მიმართა შეკრებილებს და პოლიციას, რომ ინციდენტი წარმოადგენდა სავარაუდოდ პროვოკაციას. მან შეკრებილებს მოუწოდა, არ მიექციათ ყურადღება ასეთი პროვოკაციებისთვის, ხოლო პოლიციას მოუწოდა, მიეღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები, განემუხტათ ვითარება და აღეკვეთათ ყოველგვარი უკანონობა. როგორც გაირკვა, ორი ახალგაზრდა აღმოჩნდა მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტები - ზურა ბერძენიშვილი და სალომე ბარკერი. სალომე ბარკერს ეკვთა დგბტ სიმბოლიკიანი სამკლავური, რომელსაც იგი ორი წელიწადია ატარებს. როგორც „სირცხვილიას“ აქტივისტები აცხადებდნენ, ისინი აქციაზე „რიონის ხეობის მცველების“ მხარდასაჭერად მივიდნენ, მაგრამ კომოფობიური ჯგუფების რიდერებმა - გურამ და აღექსანდრე ფადვანდიშვილებმა სალომე ბარკერისგან სამკლავურის მოხსნა მოითხოვეს. მას შემდეგ, რაც ბარკერმა სამკლავური არ მოიხსნა, „უმცროსმა ფადვანდიშვილმა“ აგრესიულად მოსთხოვა აქციის დატოვება. მათ გარშემო შეგროვდნენ სხვა აგრესიული ადამიანებიც, რის შემდეგაც „სირცხვილიას“ აქტივისტები გამოერიდნენ აქციას, რომ სიტყვიერი კონფლიქტი ფიზიკურ დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო. აქტივისტების წასვლის შემდეგ, პოლიციას აღარ გაურკვევია, ფადვანდიშვილების ქმედებები რამდენად იყო კანონიერი და სხვა სახის რეაგირება ინციდენტზე არ მოუხდენია.

აღსანიშნია, რომ პოლიცია თავიდანვე იყო ინფორმირებული, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეები გეგმავდნენ ქაღალტში გზების პიკეტირებას.

<sup>27</sup> იხ. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი: <https://bit.ly/361aTdv>

შესაბამისად, პოლიცია თავიდანვე აველენდა მშაობას, რომ დაემყარებინა სამოგადეობრივი წესრიგი, გაეკონტროლებინა ავტომანქანების მოძრაობა ქალაქის სხვადასხვა ღოკაციაზე, სადაც შეკრების მონაწილეები გადაადგიდებოდნენ. სადაც საჭიროება იყო, პოლიცია სრულად ზღუდავდა ავტომანქანების გადაადგიდებას.

**2021 წლის 26 მაისს**, ქალაქ თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულიდან შეიკრიბა მოსახლეობა. მათ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა 2019 წ. 25 აპრილს საქართველოს მთავრობასა და კომპანია „ენკა რინიუებლზს“ შორის მდინარე რიონზე დაგეგმილი ნამახვანის ჰესების ვასკადის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაწყვეტა და კომპანიის მიერ რიონის ხეობის დატოვება. აქცია წინასწარ დაანონსდა სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის - ტელევიზიითა და სოციალური მედიის მეშვეობით. აქციის მიმდინარეობისას რამდენჯერმე სიგნალებით ჩაიარა მოტოციკლებისა და სკუტერების კოლონამ საქართველოს დროშებით. მიუხედავად ხაღმრავლობისა, არ შეინიშნებოდა სამართადამცველთა დიდი რაოდენობა და რაც მთავარია, შეკრების ადგილისგან საკმაოდ მოშორებით იდგნენ პოლიციელთა ჯგუფები. საპროტესტო აქციაზე სამართადამცველებსა და შეკრებილ აქტივისტებს შორის ადგილი არ ჰქონია რაიმე ფიზიკურ დაპირისპირებას. აქციის დასასრულს „რიონის ხეობის მცველები“ გაემართნენ რიონის ხეობისაკენ და განაცხადეს, რომ ბრძოლას ამ ადგილიდან გააგრძელებდნენ.

აქციის მიმდინარეობისას, გადაკეტილი იყო რესპუბლიკის მოედნის საავტომობილო გზის ნაწილი. სამართადამცველები აკონტროლებდნენ და ხელს უწყობდნენ ავტომობილთა შეუფერხებლად გადაადგიდებას<sup>28</sup>.

**2021 წლის 1-5 ივლისს** თბილისში **პრაიდის მსვლელობის ქლესასწაული (Tbilisi Pride)** უნდა გამართულიყო. ეს მოიცავდა სამ ძირითად ღონისძიებას ხუთი დღის განმავლობაში: თბილისში 2019 წელს პირველად გამართული პრაიდის კვირეულის შესახებ ქოკუმენტური ფილმის - „ღირსების მარშის“ (March for Dignity) ოფიციალურ პრემიერას (1 ივლისი), „პრაიდ ფესტს“ ადგილობრივი და საერთაშორისო არტისტების მონაწილეობით (3 ივლისი) და ადგილობრივი სამოგადეობრივი მოძრაობების მიერ თანაორგანიზებულ „ღირსების მარშს“ რუსთაველის გამზირზე (5 ივლისი)<sup>29</sup>.

<sup>28</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისში გამართული საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 26.05.2021.

<sup>29</sup> Tbilisi Pride-ის განცხადება სრულად: <https://bit.ly/3lyXxHE>

„თბილისი პრაიდი“ (Tbilisi Pride) მიერ 1-5 ივლისს პრაიდის კვირეულის გამართვისა და 5 ივლისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე პრაიდის „ღირსების მარშით“ დასრულების დაანონსებისთანავე უდტრანაციონალისტური, პოროუსული და საქართველოს საპატრიარქოსთან დაკავშირებული აქტორები გააქტიურდნენ. კვირეულის წინ და უშუალოდ მიმდინარეობისას, ეს ჯგუფები „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ მოქალაქეებს მობილიზაციისკენ მოუწოდებდნენ.

„ღირსების მარშის“ ჩატარებას ხელი შეუშალა ჰომოფობიურმა საჯარო განცხადებებმა, მათ შორის - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენლების მხრიდან<sup>30</sup>.

2021 წლის 5 ივლისს, ჰომოფობიურმა ჯგუფებმა კონტრაქცია გამართეს და ძაღაღობრივად თავს დაესხნენ მრავალ ჟურნალისტს და ლგბტქ+ თემის უფლებების დამცველს, რამაც გამოიწვია ორგანიზატორების მიერ „ღირსების მარშის“ გაუქმება უსაფრთხოების მიზნებით. აქციის მონაწილეები სასტიკად უსწორდებოდნენ მედიის წარმომადგენლებს. პოლიცია პასიურად ეწეოდა ძაღაღობრივ ინციდენტებში და არ აკავებდა მოძაღაღეებს. მხოლოდ მსხვერპლები გაყავდა აქციის ტერიტორიიდან გარეთ.

საბოლოო ჯამში, 2021 წლის 5 ივლისს თავს დაესხნენ კონტრაქციაზე მომუშავე სხვადასხვა მედიასაშუაღების 53 ჟურნალისტსა და ოპერატორს<sup>31</sup>, ასევე - რამდენიმე მშვიღობიან მოქალაქეს, დაარბიეს ორგანიზაციების - „სირცხვიღიას“ და „თბიღისი-პრაიდის“ ოღისები. ჟურნალისტებზე თავღასხმები ძაღაღობის სხვადასხვა ინტენსივობის იყო. მედიის რამდენიმე თანამშრომღღმა უმღიმესი ფიზიკური დაზიანებები მიიღო და დასახიღრდა<sup>32</sup>. ჟურნალისტებისა და მომიტინღეების უსაფრთხოების დაცვა პოღიციაღმ ვერ შეღღღ, ხოლო ერთ-ერთი ოპერატორი - ღღქსო დაშქარავა, საკუთარ ბინაში გაღრდაცვღღღი იზოვღს აქციაზე სასტიკად ცემიღან რამდენიმე ღღღმი<sup>33</sup>.

პოღიციაღმ სათანადოღ ვერ დაიცვა მეღრე ღღღს სპონტანურად გამართული - „*ღღღმარე აქციის*“ მონაწიღეებიც, რომღებიც გმოზღნენ 5 ივღისს<sup>34</sup> განსორციღღებულ ძაღაღობას.

---

<sup>30</sup> საქართველოს საპატრიარქოღმ განაცხადა, რომ პრაიდი „მიზნად ისახავს მღმიე ცოღღის დაკანონებას“, და ჰომოსექსუაღობა იყო „უკუღმართი ცხოვრების წესი“. იხ. „ეკლესია გმოზს თბიღისის პრაიდს“: <https://civil.ge/archives/429890>; პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარბიშვიღმა ღირსების მარშის მონაწიღეები დაადანაშაულა არეუღობის მოწყობაში. იხ: პრემიერ-მინისტრი ღირსების მარშს მიზანშეუნოღად მიიღწევღს, და „რადიკალური ოპოზიციის“ მიერ ორგანიზებულად თღღის: <https://civil.ge/archives/430522>

<sup>31</sup> იხ: ჟურნალისტების სია, რომღებსაც თავს დაესხნენ: <https://bit.ly/3yqBuNH>

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3xkURWY>

<sup>34</sup> იხ. ანტი ლგბტქ ჯგუფების ძაღაღობის შემღღე, ათასობით აღამიანი გმოვიღა

**2021 წლის 4 ოქტომბერს**, მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებასთან აქცია გაიმართა. რამდენიმე ათეული მანქანის კოლონა თბილისიდან პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ორგანიზებით დაიძრა. აქციის ორგანიზატორები და მხარდამჭერები აცხადებდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარია და მისი გათავისუფლება მოითხოვს<sup>35</sup>.

**2021 წლის 14 ოქტომბერს**, თბილისში, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი ხალხმრავალი აქცია გაიმართა. მასში მონაწილეობისთვის საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ავტომობილებით მოქალაქეები ორგანიზებულად ჩამოვიდნენ - მათ გზად ხვდებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მოწინააღმდეგეები ცოცხებით და ყავარჯნებით, მათი განმარტებით - „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმბოლოებით<sup>36</sup>. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების განმარტებით, ეს „ქართული ოცნების“ მიერ იყო ორგანიზებული. თავისუფლების მოედანზე გამართული აქცია საბოლოოდ მშვიდობიანად დასრულდა. შეკრებილთა მოთხოვნა იყო პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება. პარტიის ლიდერი, ნიკა მელია მხარდამჭერებს 30 ოქტომბრამდე დაემშვიდობა და მათ არჩევნებზე მისვლისკენ მოუწოდა.

**2021 წლის 27 ოქტომბერს**, მმართველმა პარტიამ - „ქართულმა ოცნებამ“, თბილისში, თავისუფლების მოედანზე მხარდამჭერებთან ერთად ე.წ. შემაჯამებელი შეკრება გამართა. შეკრებაზე დასასწრებად მმართველმა ძალამ მოქალაქეები როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოდან ჩამოიყვანა. პარადელურად, ინტენსიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია „ქართული ოცნების“ მიერ „სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და ადმინისტრაციული ჩესურსების ბოროტად გამოყენების“ თაობაზე. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების განცხადებით, მათ მიიღეს სარწმუნო ცნობები, რომ საჭარო სამსახურში დასაქმებულ პირებს ზემდგომებმა მისცეს მითითება, მონაწილეობა მიეღოთ „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებულ აქციაში, რაც წუხილს მრდის მმართველი პარტიის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით<sup>37</sup>.

---

საქართველოში აქციაზე, Euractiv.com, 7 ივლისი 2021: <https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/thousands-rally-in-georgia-to-protest-anti-lgbtq-violence/>; ასევე, იხ. საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021, გვ. 9. <http://hrc.ge/files/reports/161aqciebi-geo.pdf>

<sup>35</sup> იხ: ინფორმაცია სრულად: <https://reginfo.ge/politics/item/23784-rustavis-zixestan-mixeil-saakashviliis-mxardasacherad-aqzia-gaimarta>

<sup>36</sup> იხ: ინფორმაცია სრულად: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31509892.html>

<sup>37</sup> იხ: მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დაცვების შესახებ, OSCE/ODIHR.



**2021 წლის 19 ნოემბერს**, თბილისში კიდევ ერთი აქცია გაიმართა, რომელიც რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყო და საქართველოს პარლამენტის შენობის წინ გაგრძელდა. ოპოზიციის მიერ წინასწარ დაანონსებული აქციის მიზანი იყო სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა და ვადამდელი არჩევნები.

დაახლოებით 16:00 სთ-თვის აქციის მონაწილეები მივიდნენ საქართველოს პარლამენტის შენობის წინ. სცენა გამართული იყო გამომსვლელებისთვის პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს, რადგან პარლამენტის წინ ტერიტორია იყო გადაკვეტილი რკინის ბარიერებით. ადგილზე იყო წარმოდგენილი მერიის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მართავდნენ საახალწლო ნაძვის ხეს. ჩართული იყო პარლამენტის წინ არსებული ფანტანებიც. აქციის მონაწილეებს სრულად დაკავებული ჰქონდათ პირველი სკოლიდან პარლამენტის წინ მიმდებარე ტერიტორია. მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეები განთავსდნენ სცენის წინ, პოლიციის თანამშრომლებმა დატოვეს ტერიტორია და გადაინაცვლეს უკანა მხარეს.

აქცია იყო მშვიდობიანი. პერიოდულად ჩართული იყო სიმღერები. არ ყოფილა კონტრაქცია და დაპირისპირება. ასევე, აქციის მონაწილეთა მხრიდან არ ყოფილა უკონტროლო ქმედებები, ბარიკადების განთავსება ან შენობების ბლოკირება. არ დაფიქსირებულა დაკავებები<sup>38</sup>.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა აქციები, რომლებიც მოექცა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ, ზოგიერთი მათგანი მშვიდობიან ვითარებაში ჩატარდა; როგორც დემონსტრანტთა, ისე სამართალდამცავთა ქმედებებიც დეგრადაციული იყო და ექცეოდა როგორც ეროვნული კანონდებლობის, ისე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების ფარგლებში<sup>39</sup>. თუმცა, ზოგიერთი აქცია,

<https://bit.ly/3o6GJOG>

<sup>38</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში: 19.11.2021.

<sup>39</sup> **მაგალითად:** ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, აქცია - „დაუმორჩილებლობის მარში“. ანგარიში მომზადებულია: 06.02.2021; ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, აქცია - „არა საბჭოთა რეჟიმს“ შესახებ. ანგარიში მომზადებულია: 23.02.2021; ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, აქცია - „გამოდი ღირსებისთვის“ შესახებ. ანგარიში მომზადებულია: 09.03.2021; ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, აქცია ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ, ქ. ქუთაისი. ანგარიში მომზადებულია: 14.03.2021; აქცია - „გაუქმდეს კომუნდარტის საათი“. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში: 03.04.2021; აქცია - „ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ“, თბილისი, რესპუბლიკის მოედანი. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში: 23.05.2021; აქცია - „გადადგეს მკვლეული მთავრობა“, თბილისი, საქართველოს პარლამენტის წინ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში: 17.07.2021. ულტრანაციონალისტური ორგანიზაციების: „ბავშვთა უფლებების დაცვის სამოვლადობისა“ და ახალგაზრდული ცენტრი „მნობას“ მიერ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის შენობასთან ორგანიზებული აქცია, სადაც ისინი „ღირსების მარშის“ გაუქმებას და საქართველოში ევროკავშირის ელჩის, კარლ შარცელისა და ამერიკის ელჩის, კელი დეგნანის გაძევებას საქართველოდან და მათი „პერსონა ზონ გრატად“ გამოცხადებას

მოთხოვნებისა და კონკრეტული ინციდენტების გათვალისწინებით, არ ატარებდა მშვიდობიან ხასიათს<sup>40</sup>.

**2021 წლის 30 ნოემბერს**, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან გაიმართა საქართველოს მესამე პრეზიდენტის მხარდამჭერი აქცია. ადამიანის უფლებათა ცენტრმა ამ აქციის მონიტორინგი განახორციელა როგორც ადგილზე<sup>41</sup>, ისე დისტანციურად, პირდაპირი ეთერის მეშვეობით<sup>42</sup>.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასამართლო სხდომის გამართვამდე გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც მოქალაქეებს მოუწოდებდა წესრიგის დაცვისკენ და პოლიციელთა კანონიერი მოთხოვნების დამორჩილებისაკენ<sup>43</sup>. პრეზიდენტის ეტაპირებამდე მოხდა დიდი რაოდენობით პოლიციელთა მობილიზება სასამართლოს შენობის ეზოში და მის გარშემო<sup>44</sup>. პოლიციელებმა გადაკეტეს სასამართლოს ორივე შესასვლელი და ქაღალტის საავტომობილო გზები, მათ შორის - დავით აღმაშენებლის ხეივანის ავტომაგისტრალის ერთი მხარე - ქაღალტის მიმართულებით.

აქცია მიმდინარეობდა სხვადასხვა შეძახილისა და საყვირის ხმის ფონზე. რამდენჯერმე მოხდა ფიზიკური დაპირისპირება სამართალდამცველებსა და აქციის მონაწილეებს შორის. აქციის მონაწილეები ცდილობდნენ სასამართლოს შესასვლელთან არსებულ ბეტონის კედლებზე ასვლას და იქიდან პროტესტის გამოხატვას, რისი საშუალებაც მათ პოლიციელებმა არ მისცეს<sup>45</sup>.

აქციაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით, საავტომობილო გზის გადაკეტვის მცდელობისთვის, პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს 15 სამოქალაქო აქტივისტი<sup>46</sup>. დაკავებულთა შორის იყვნენ ოპოზიციის რიგერი გიგი უგულავა და „ერთიანი ნაციონალური

---

*მოთხოვნა*. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგს ანგარიში: 30.06.2021. **შენიშვნა:** ამ აქციას, ჯამში, 20-მდე ადამიანი ესწრებოდა. **სრულად იხილეთ:** საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. <http://hrc.ge/files/reports/161aqciebi-geo.pdf>;

<sup>40</sup> **მაგალითად:** ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში - „ქართული მარშის“ ძალადობრივი დემონსტრაცია პრეზიდენტის სასახლესთან. ანგარიში მომზადებულია: 03.02.2021. **სრულად იხილეთ:** საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. <http://hrc.ge/files/reports/161aqciebi-geo.pdf>;

<sup>41</sup> იხ. ვრცლად <https://fb.watch/9BJ5HyJ58g/> (ბოლოს ნანახია 30.11.2021); [https://fb.watch/9BI\\_FDQedJ/](https://fb.watch/9BI_FDQedJ/) (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

<sup>42</sup> იხ. უწყვეტი პირდაპირი ეთერი <https://fb.watch/9BIOP88yG/> (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

<sup>43</sup> იხ. შს-ის განცხადება ვრცლად <https://bit.ly/3d0HdAL> (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

<sup>44</sup> ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rkRU9u> (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

<sup>45</sup> იხ. ვიდეო <https://bit.ly/32Ay1km> (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

<sup>46</sup> ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3l8Zvhh> (ბოლოს ნანახია 30.11.2021); <https://bit.ly/316mYiM> (ბოლოს ნანახია 30.11.2021); <https://bit.ly/3E7IDpT> (ბოლოს ნანახია 30.11.2021); <https://bit.ly/3D8emFh> (ბოლოს ნანახია 30.11.2021); [https://fb.watch/9BfKlCs\\_ay/](https://fb.watch/9BfKlCs_ay/) (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

მოძრაობის“ მხარდამჭერი აქტივისტი ბესიკ თამელიანი<sup>47</sup>. მოგვიანებით, საქართველოს პროკურატურამ ბესიკ თამელიანს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის საფუძველზე წარუდგინა, რაც გულისხმობს წინააღმდეგობას, მუქარას ან ძალადობას საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ.

აქცია დასრულდა დაახლოებით ოთხი საათისთვის, მას შემდეგ, რაც მიხვილ სააკაშვილმა სასამართლოს შენობა დატოვა<sup>48</sup>.

## **2. სამართადამცავთა აუცილებლობა და პროპორციული რაოდენობა**

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პოლიცია ვადღებუდია, ხელი შეუწყოს შეკრებას მის შესახებ შემოტანილი შეტყობინების ან ორგანიზატორებთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად. სამართადამცავი ორგანოები ყოველთვის უნდა ეცადონ, რომ ადგილზე რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობის საპოლიციო რესურსები განადაგონ, რითაც ღონისძიების მშვიდობიანად ჩატარებას შეეწყობა ხელი. აგრეთვე, შეკრების მიმდინარეობისას ტაქტიკურმა მეთაურებმა მუდმივად უნდა შეიტანონ კორექტივები საპოლიციო ოპერაციაში. ღონისძიების მანძილზე მათი პრაქტიკული ქმედებები გადანყვეტილებების მიღების მოდელზე უნდა იყოს დაფუძნებული<sup>49</sup>.

ეროვნულ დონეზე, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს ეკისრება როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვადღებულებები უზრუნველყოს შეკრებისა და მანიფესტაციის დაუბრკოლებლად, ექსცესების გარეშე მიმდინარეობა.

ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციების შემთხვევაში, ხელისუფლება ცდილობდა, სხვადასხვა ბარიერი შეექმნა და ხელი შეეშალა „რიონის ხეობის მცველების“ დეგიტირ და მშვიდობიან სოციალურ პროტესტისათვის. სახელმწიფო თავისი ხისტი, რეპრესიული და ძალადობრივი პოლიტიკის გასატარებლად სამართადამცავ სისტემებს არაპროპორციულად იყენებდა და უხეშად არღვევდა საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებით განანტირებულ შეკრება/მანიფესტაციის, გამოხატვის, თავისუფალი მიმოსვლისა და გადაადგილების ფუნდამენტურ უფლებებს.

---

<sup>47</sup> იხ. გიგი უგულავას დავაგების კადრები <https://bit.ly/3G00tZO> (ბოლოს ნანახია 30.11.2021); <https://bit.ly/3FZ5TG1> (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

<sup>48</sup> იხ: ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში: 29.11.2021.

<sup>49</sup> იხ: Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 92. <https://bit.ly/37KoXsa>; ასევე, იხ: Makaratzis v. Greece, Application No. 50385/99, 2004. <https://bit.ly/33TsF1B>

2021 წლის 5 ივლისს, თბილისში გამართულ აქციაზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები რამდენიმე ლოკაციაზე იმყოფებოდნენ. ძირითადად, შერჩეული იყო გარეთა პერიმეტრები. აქციის შუავულში პოლიციელები არ იყვნენ, რის გამოც ძაღაღობრივ თავდასხმებზე რეაგირება არ იყო ეფექტიანი. განსაკუთრებით აღსანიშნი იყო პოლიციელთა რაოდენობის სიმცირე.

6 ივლისს საქართველოს პარლამენტის წინ გამართული მდუმარე აქციის პარადელურად შეკრებილი ძაღაღობრივი ჯგუფების ქმედებების გათვალისწინებით, ადგილზე წარმოდგენილ სამართალდამცავთა რაოდენობა, განსაკუთრებით - აქციების დაწყებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში და შემდგომაც, იყო არასაკმარისი. ამიტომ პოლიციის კორდონები რამდენჯერმე გაარღვიეს კონტრაქციის მონაწილეებმა, შეაღწიეს ხაღხის მასაში და ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს აქციის მონაწილეებს. ამ ძაღაღობრივ ფაქტებზე სამართალდამცავები ცდილობდნენ რეაგირებას და რამდენჯერმე შეძლეს კორდონის შიგნით შეღწეული ადამიანების გაყვანა ან/და დაკავება. მიუხედავად ამისა, პოლიციელთა არასაკმარისი რაოდენობის გათვალისწინებით და კონტრაქციის მონაწილეთა აგრესიულობის გამო, სულ უფრო შეუძლებელი ხდებოდა აქციის მონაწილეთა ადგილზე დარჩენა.

წინა წლების აქციებისგან განსხვავებით, მასშტაბური ძაღაღობრივი ფაქტების მიუხედავად, კონტრაქციაზე არ ყოფილა წარმოდგენილი სპეცრაზმი და არც სპეციალური საშუალებები. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები კი, პასიურობით გამოირჩეოდნენ. მათ ძაღაღობრივი ქმედებების შეწყვეტისკენ მკვეთრი განცხადებებიც არ გაუკეთებიათ.

სხვა აქციებზეც, ხშირ შემთხვევაში, დემონსტრანტებსა და შეკრების ადგილზე მისულ საპოლიციო ძაღებს შორის პრორპორციულობის ბაღანსი დაცული არ იყო.

### **3. შეკრების მონაწილეთა დაკავების/დაჯარიმების პრაქტიკა**

სამართალდამცავი ორგანოები შეკრებისა და მანიფესტაციების უღღების სანინაალმდეგოდ აქტიურად განაგრძობენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებას.

დღემდე გრძელდება ადამიანის უღღებებთან შესაბამო პრაქტიკა, რომლის მიხეღვითაც დაკავებულთა ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ანდა საერთოდ არ ატყობინებენ დაკავებულთა ადგილსამყოფელის შესახებ. შესაბამისად, ადვოკატები ვერ ახერხებენ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა დროულ მონახუღებას, მათთან გასაუბრებას და დაცვის სტრატეღიის შეთანხმებას.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადვოკატებისთვის ცნობილია დაკავებულთა ადგილსამყოფელი, მათ საათების განმავლობაში ექმნებათ დაბრკოლება დაკავებულებთან შეხვედრის პროცესში. ასევე, ძირითადი პრობლემა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს არის მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა უფლებების შემლუღვის ზრდის ტენდენცია აღნიშნული ნორმების საფუძველზე მაშინაც კი, როდესაც შეკრება კანონის ფარგლებში მიმდინარეობს.

მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ პროტესტის დროს, დემონსტრანტთა წინააღმდეგ გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავებები და ადმინისტრაციული ჯარიმები არსებითად დაუსაბუთებელი იყო და მიმართული იყო არა საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის უზრუნველსაყოფად, არამედ საპროტესტო მუხტის შემცირებისკენ. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 2021 წლის 3 აპრილს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნამოხვანის მიმართულებით გზების ჩაკეტვის შემდეგ, 12 ადამიანის დაჭარბება, რომლებიც რიონის ხელობაში ნამახვანჰესის მშენებლობას აპროტესტებდნენ. პოლიციამ ისინი ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის გამო, 2000-2000 ლარით დააჯარიმა. ისინი გუმბათში ავტომანქანებში ღამის გასათევად მას შემდეგ დარჩნენ, რაც სამართალდამცველებმა ღლის განმავლობაში ნამოხვანში კარგების მიმართულებით გადაადგილების უფლება არ მისცეს და უკან დაბრუნების შესაძლებლობაც აღარ ჰქონდათ საკმარისი დროის გამო<sup>50</sup>.

2021 წლის 4 აპრილს სოფელ ზარათის მაცხოვრებელი მირიან მალღაფერიძე, რომელიც გვერდით სოფელში, ოფურჩხეთში პურის საყიდლად გადაადგილდებოდა, პოლიციამ შეაჩერა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოსთხოვა, რაც მას თან არ ჰქონდა. მას შემდეგ კი, რაც პურის საყიდლად გადაადგილებაზე პოლიციისგან უარი მიიღო, სამართალდამცავებს პურის შეძენა სთხოვა, რაც პოლიციამ შეურაცხყოფად მიიღო და იგი წვრილმანი ხელიგნობისა და დაუმორჩილებლობის მუხტებით დააკავეს<sup>51</sup>.

2021 წლის 9 აპრილს სოფელ ნამოხვანში, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძველით, დააკავეს პროტესტის მონაწილე ღაშა ქუთათელაძე. სასამართლო პროცესზე პოლიციელმა განმარტა, რომ ქუთათელაძის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა რიონის ხელობაში გადაადგილებაში გამოიხატა. ამ შემთხვევაში მოსამართლემ ღაშა ქუთათელაძე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად არ ცნო და დაბრბიდან გაათავისუფლა<sup>52</sup>.

<sup>50</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3qB4waf>

<sup>51</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3jwb3S4>

<sup>52</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3w7Bosh>

2021 წლის 14 აპრილს სოფელ გუმათში მიმდინარე საპროტესტო აქციაზე პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გაათავისუფლებული სამართალდარღვევისთვის 6 პირი დააკავა. შსს-ს განცხადებით, პოლიციის მიერ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, აქტივისტებმა არ გაათავისუფლეს გზის სავალი ნაწილი, არ დაემორჩილნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს, რის შემდეგაც პოლიციამ გამოიყენა იძულების პროპორციული ღონისძიებები<sup>53</sup>.

2021 წლის 27 მაისს, სოფელ გუმათში, დაპირისპირებისას სამართალდამცველებმა „რიონის ხეობის მცველების“ 8 წარმომადგენელი დააკავა ადმინისტრაციული წესით<sup>54</sup>. დაკავებული აქტივისტები 28 მაისს გაათავისუფლეს<sup>55</sup>. მათ რიონის ხეობაში შესვლა სურდათ.

2021 წლის 10 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კვინიკაში გადაყვანის მოთხოვნით, თბილისში, სხვადასხვა ადმინისტრაციულ შენობასთან მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით<sup>56</sup>, საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით, 46 პირი დააკავეს. შსს-ს შეფასებით, აქციის მონაწილეები გასცდნენ შეკრების და გამოხატვის თავისუფლების კანონით დასაშვებ ფარგლებს, ასევე, შეეცადნენ ადმინისტრაციული შენობების შესასვლელების ბლოკირებას. ამ აქციის მონაწილეთა დაკავების შემდეგ გამოიკვეთა პრობლემური ტენდენცია, რომ დაკავებულთა ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ ჰქონდათ ინფორმაცია დაკავებულთა ადგილსამყოფელის შესახებ, რის გამოც, ისინი ვერ ახერხებენ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა დროულ მონახულებას და მათთან ერთად დაცვის სტრატეგიის შეთანხმებას<sup>57</sup>.

#### **4. 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებული სამართალწარმოება**

შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, 2021 წლის 5 ივლისს ადმინისტრაციული წესით დააკავეს 100 პირი. 68 დაკავებული ხელნერილის საფუძველზე მადევე გაათავისუფლეს<sup>58</sup>. 5 აგვისტოს მონაცემებით კი, ინდივიდუალური ძაღაღობისა და პროფესიული საქმიანობისთვის ხელშეშლის ცადკვეუდ ეპიზოდებზე სისხლის სამართლის წესით დაკავებულია 31 პირი<sup>59</sup>. სამართალდამცავ ორგანოებს ამ

<sup>53</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2TrjVNY>

<sup>54</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3h83Upu>

<sup>55</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/36baVPL>

<sup>56</sup> იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15032>

<sup>57</sup> სახალხო დამცველის განცხადება: <https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-10-noembers-saprotesto-aktsiebze-dakavebul-pirebtan-dakavshirebit>

<sup>58</sup> იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://bit.ly/2WPTtIU>

<sup>59</sup> იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://bit.ly/3Ac9Bcp>

დრომდე არ აქვთ გამოძიება დაწყებული შეკრების უფლების ხელყოფის ფაქტებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლი)<sup>60</sup>, მაშინ როცა ამ დანაშაულის ნიშნები ცალსახად არსებობდა 5-6 ივლისის მოვლენების დროს და ამ ქმედებებს ჰქონდა ვარგად ორგანიზებული ხასიათი.

გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად<sup>61</sup>, 2021 წლის 5-6 ივლისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში დამარტყვად ცნობილია 45 ადამიანი, ოპერატორი. სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს 31 პირის მიმართ, აქედან 26 პირის მიმართ მიმდინარეობს სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 1 პირის მიმართ სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 3 პირის მიმართ სსკ-ის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილისა „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 1 პირის მიმართ სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ადამიანის უფლებათა ცენტრი 9 აპრილის უფლებებსა და სამართლებრივ ინტერესებს იცავს. ყველა მათგანს მიენიჭა დამარტყვის სტატუსი<sup>62</sup>.

საკამოძიებო ორგანოების მხრიდან დღემდე არ მომხდარა ძალდობრივ ქმედებებში ჩართული ყველა პირის იდენტიფიცირება და შესაბამისად, არ დაწყებულა ძალდობრივი ქმედებების ორგანიზატორთა სისხლისსამართლებრივი დევნა.

## დასკვნა

2021 წელს გამართული საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სართალდამცველთა არაპროპორციული ძალის მოხიზვების, აქციის მონაწილეთა უკანონო დაკავების, ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებისა და დაჭარბების, გადაადგილების თავისუფლების არაპროპორციული შეზღუდვის არაერთი ფაქტი. უახლოესი წარსულის მაგალითები კიდევ უფრო ამძაფრებს სახელმწიფოს მიერ ბაღანის და ცვის შრობელმას შეკრების თავისუფლებასა და სამოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის. აქციის მონაწილეებს კვლავ ერთმევათ დროებითი კონსტრუქციების (მათ შორის - კარავების) განთავსების შესაძლებლობა, რაც შეკრების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას

<sup>60</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 161. <https://bit.ly/3IEsXDj>

<sup>61</sup> იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი #13/57936 ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 23 სექტემბრის წერილზე.

<sup>62</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/3AcjJC7>

წარმოადგენს.

მონიტორინგის ანგარიშებში იდენტიფიცირებულ სამართადარღვევათა ანალიზის, სამართადამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, დგინდება, რომ აქციების უმრავლესობაში არ იყო დატყუი შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების უფლება და შესაბამისი სტანდარტები; ხელისუფლება სამართადამცავ ორგანოებს იყენებს პოლიტიკური რეპრესიების განხორციელების იარაღად. იმავედროდ, საგამოძიებლო ორგანოებს, 5-6 ივლისის ძადადობრივი აქციების არცერთი ორგანიზატორი არ დაუკავებია. ამასთან, ცალსახად გამოიკვეთა, რომ სამოქალაქო აქტივისტების, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების მისამართით ფიზიკურ ძადადობას, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლას, მიზანმიმართული და კარგად ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ სამართადამცველები შეკრების მონაწილეთა ქმედებებზე, უმეტესწილად, შერჩევითი სამართლის პრინციპით რეაგირებდნენ.

აგრეთვე, ხელისუფლება რეპრესიული პოლიტიკის კიდევ ერთ იარაღად საბჭოთა პერიოდში მიღებულ ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექსს იყენებს, ისე, რომ აქციის მონაწილეებს არ აქვთ სამართლიანი პროცესის გარანტიებით სარგებლობის შესაძლებლობა. უკანასკნელი ცვლილებებით, კოდექსი კიდევ უფრო რეპრესიული გახდა, რაც ტოვებს რისკებს მისი ვინროპოლიტიკური მიზნებისთვის გამოსაყენებლად და ხელისუფლების ხელში სამოქალაქო სივრცის კონტროლისა და შეზღუდვის მექანიზმად ქცევისთვის.

საბოლოო ჯამში, საპროტესტო აქციებზე იდენტიფიცირებულ იქნა მძიმე ხასიათის დარღვევები, რაც საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის რიგი სტანდარტების დარღვევას წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვან პრობლემას, ასევე, წარმოადგენდა Covid-19-თან დაკავშირებით დაწესებული რეგულაციების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ აქციის ორგანიზატორები ძირითადად ილებდნენ ვირუსის პრევენციისათვის აუცილებელ ზომებს, მრავალრიცხოვანი აქციების შემთხვევაში, ფიზიკური დისტანცია დაცული საერთოდ არ იყო. ხშირად აქციის მონაწილეებს პირბადეები საერთოდ არ ან/და არასწორად ეკეთათ.



## რეკომენდაციები

### საქართველოს მთავრობას:

- თავი შეიკავოს მშვიდობიანი შეკრების უფლების არაპროპორციული შეზღუდვებისგან;
- მშვიდობიანი შეკრებების დროს თავი შეიკავოს საპროტესტო კარგებისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების აღმართვის აკრძალვისგან;
- ხელი შეუწყოს 5-6 ივლისს განხორციელებული, წინასწარ დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული ძაღაღობრივი ქმედებების და მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული შტურმის ორგანიზატორთა ვინაობის დადგენას, ასევე - ამ ძაღების დამფინანსებელი ორგანიზაციებისა თუ ფიზიკური პირების გამოაშკარავებას;
- გააკეთოს განმარტებები გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ და მკაფიოდ და არაორაზროვნად დაგმოს აურნადისტების წინააღმდეგ განხორციელებული ძაღაღობრივი მოწოდებები და ქმედებები.

### საქართველოს პარლამენტს:

- გონივრულ ვაღაში მიიღოს ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რითაც სრულყოფილად იქნება დაცული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, საჯარო ინტერესები და კანონის უზენაესობა.
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და საგამოძიებო უწყებების მხრიდან დანაშაულების არაეფექტური, დაგვიანებული და შესაბამისი რეაგირების გარეშე დატოვების სისტემური შემთხვევების აღმოფხვრის მიზნით, გააძლიეროს საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებზე.
- 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებული გამოძიების პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად, ითანამშრომლოს პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან; ასევე - უზრუნველყოს პარლამენტის ბაზაზე მულტიფრაქციული საპარლამენტო კომისიის შექმნა და გააძლიეროს პარლამენტის მიერ საზედამხედველო ფუნქციის შესრულება.

### სასამართლო ხელისუფლებას:

- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვისას გააძლიეროს სასამართლო კონტროლი დავებისას, სამართალდამცავთა მხრიდან, ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე.
- უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მოსამართლეთა მიერ გამოტანილ დადგენილებებში დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლება;

- შეაფასოს სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებები სრულყოფილად და მათი მოპოვების კანონიერების საკითხი.

**სამართალდამცავ ორგანოებს:**

- პატრივი სცენ მშვიდობიანი შეკრების კონსტიტუციურ უფლებას;
- შსს-მ დემონსტრაციების მიმდინარეობისას უზრუნველყოს მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოება და მათი თავისუფალი და შეუფერხებელი საქმიანობა;

- შესაბამისმა უწყებებმა შეისწავლონ მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვის ფაქტები და მოახდინონ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;

- შსს-მ შეცვალოს მშვიდობიანი შეკრებების დროს კარგების/სხვა კონსტრუქციების გაშლის შეზღუდვის უკანონო და თვითნებური პრაქტიკა;

- დაუყოვნებლივ მოახდინონ 5-6 ივლისს განხორციელებულ ძალადობრივ მოვლენებში მონაწილე ყველა პირის იდენტიფიცირება, ამ ქმედებების ორგანიზატორთა დადგენისა და მათდამი სისხლისსამართლებრივი დევნის ჯეროვნად განხორციელების მიზნით;

- აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უზრუნველსაყოფად პოზიტიური ვადლებულების სათანადოდ შესრულების მიზნით.